საქართველოს
პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ბაღი 26

№ 19180

03 09 2013 წელი

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო

დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

გიგზავნით საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ 2012 წლის 22 ოქტომბრიდან-2013 წლის 1 სექტემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიშს.

დანართი: 24 ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის

პირველი მოადგილე ფრიდონ საყვარელიძე

საქართველოს პარლამენტის

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

ანგარიში

2013

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ 2012 წლის 22 ოქტომბრიდან-2013 1 სექტემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში

I. კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა ----------3

II. კომიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე საქმიანობა----------14

1. კომიტეტის სამანდატო საქმიანობა ---------- 14

2. ფრაქციათა ზღვრული წარმომადგენლობის კვოტების დაცვის მდგომარეობის შესწავლა ----------15

3. ფრაქციის რეგისტრაციის საკითხის შესწავლა----------16

4. პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო წესით წარდგენის თაობაზე შეგროვილი ხელმოწერების ნამდვილობის გადამოწმება---------16

5. არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი განცხადებების შესწავლა----------17

6. არანაკლებ 30 000 ამომრჩევლის ინიციატივით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი განცხადებების შესწავლა----------18

7. სხვადასხვა საკითხებზე მუშაობა----------19

8. პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი----------22

საანგარიშო პერიოდში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში მუშაობა მიმდინარეობდა კანონშემოქმედებითი, საკონტროლო და კომიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებით. თითოეული საკითხის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა კომიტეტის სხდომებზე. კომიტეტის დასკვნები, გადაწყვეტილებები და ინფორმაციები ეგზავნებოდა პარლამენტის ხელმძღვანელობას შემდგომი რეაგირებისათვის.

საანგარიშო პერიოდში მოწვეულ იქნა კომიტეტის 35 სხდომა და გაფორმდა სათანადო ოქმები. კომიტეტმა წარადგინა 3 საკანონმდებლო ინიციატივა, 15 კანონპროექტზე იმუშავა როგორც წამყვანმა კომიტეტმა: დასკვნები წარადგინა სამივე მოსმენისათვის 9 კანონპროექტზე, 3 კანონპროექტი განიხილა პირველი მოსმენით, 1 კანონპროექტი-მეორე მოსმენით და წარადგინა შესაბამისი დასკვნები, ხოლო 2 კანონპროექტზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა. კომიტეტის მიერ წარადგენილ იქნა სავალდებულო დასკვნა 14 კანონპროექტზე. გარდა ამისა, კომიტეტმა მოამზადა და წარადგინა პარლამენტის დადგენილების 27 პროექტი. მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე კომიტეტში სხვადასხვა საკითხებზე სულ შემოვიდა 665, ხოლო კომიტეტიდან გაიგზავნა 271 კორესპოდენცია. კომიტეტს დღევანდელი მონაცემებით პასუხგაუცემელი წერილი არ აქვს.

I. კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი ძირითადად მუშაობდა ,,საქართველოს პარლამენტის რეგლამენტსა" და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებზე. 2012 წლის 22 ოქტომბრიდან-2013 1 სექტემბრამდე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელდა 10 ცვლილება, ხოლო ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში - 4 ცვლილება, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ცვლილება კომიტეტის სხდომებზე გამოთქმული შენიშვნებითა და წინადადებებით დაიხვეწა და მომზადდა და გაიგზავნა კომიტეტის შესაბამისი დასკვნები. ამჟამად კომიტეტი მუშაობს საქართველოს პარლამენის რეგლამენტში შესატან 2 ცვლილებაზე, რომლებიც მიღებულია პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შესატან ცვლილებაზე, რომელიც მიღებულია პლენარული სხდომის მიერ პირველი, ხოლო კომიტეტის მიერ - მეორე მოსმენით.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის ინიციატივით მომზადებულია შემდეგი პროექტები:

1. ,,**საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ**", საქართველოს რეგლამენტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილი იყო კომიტეტის ინიციატივით. რეგლამენტის ეს პროექტი მომზადდა პარლამენტის რეგლამენტის მუხლებს შორის არსებული წინააღმდეგობის აღმოფხვრის მიზნით, კერძოდ, მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროს დებულებას ამტკიცებდა პარლამენტის ბიურო, თუმცა ცვლილებამდე ეწერა პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილებების განმსაზღვრელ მუხლში, ამ ცვლილებით განხორციელდა შესაბამისი ჩანაწერის ამოღება და დაემატა საქართველოს პარლამენტის ბიუროს უფლებამოსილებებს. რითაც გასწორდა არსებული წინააღმდეგობა და კიდევ უფრო დაიხვეწა პარლამენტის რეგლამენტის მოქმედი რედაქცია. რეგლამენტის პროექტი მიღებულია სამივე მოსმენით პლენარულ სხდომაზე.

ასევე კომიტეტის ინიციატივით პარლამენტის რეგლამენტში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით მომზადდა კიდევ ერთი ცვლილება:

2. **„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ"** საქართველოს რეგლამენტის პროექტი, რომელის თანახმად ხდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 37-ე მუხლის პირველ პუნქტში ცვლილება, ეს პუნქტი განსაზღვრავს პარლამენტის წევრის ვალდებულებას იყოს არანაკლებ 1 კომიტეტის შემადგენლობაში, გარდა 104-ე მუხლის „ა", „ბ", „დ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე თანამდებობის პირისა. ამ ცვლილებით ხდება ,,დ" ქვეპუნქტის შეცვლა ,,გ" ქვეპუნქტით, ანუ კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც თავისთავად შედის კომიტეტის შემადგენლობში ამოღებულ იქნა და მის ნაცვლად მითითებულ იქნა ,,გ" პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები, რადგან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად მათი კომიტეტებში გაწევრიანების საკითხს წყვეტს შესაბამისი ფრაქცია. რეგლამენტის ეს პროექტი მიღებულია პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით.

3. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის წერილობითი კითხვა წარმოადგენს საპარალამენტო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ცალკეულ პარლამენტის წევრს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს მისთვის საჭირო, საჯარო ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მოცულობითია. შესაბამისად, თანამდებობის პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა და საკმარისი ვადა იმისათვის, რომ მოახერხოს მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი მოძიება, მომზადება და გადმოგზავნა, რათა პარლამენტის

წევრს ჰქონდეს საშუალება ზუსტ და სრულყოფილ ინფორმაციაზე დაყრდნობით განახორციელოს საპარლამენტო კონტროლი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის როგორც დღეს მოქმედი 311-ე მუხლის, ასევე 221-ე მუხლის თანახმად, რომელიც 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდება, ამ მუხლებში მითითებული თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა ვალდებულია 7 დღის ვადაში წარუდგინოს მას წერილობითი პასუხი, ხოლო „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის როგორც დღეს მოქმედი 35[1] მუხლის, ასევე მე-14 მუხლის თანახმად, რომელიც 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდება, აღნიშნულ ვადად განსაზღვრულია 15 დღე. აღნიშნული ნორმების მოთხოვნები ცხადია შეუსაბამობაშია ერთმანეთთან, რაც გარკვეულ პრობლემებს იწვევდა პრაქტიკაში და აუცილებელი იყო აღნიშნული შემთხვევისათვის ორივე ნორმატიული აქტით ერთნაირი სამართლებრივი რეჟიმის დადგენა.

კომიტეტმა გაითვალისწინა, ზემოაღნიშნული და ამ მიზნით იქნა მომზადებული კომიტეტის ინიციატივით

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ" რეგლამენტის პროექტი, რომელიც მიღებულია პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით.

კომიტეტის წევრების საკანონმდებლო ინიციატივებიდან აღსანიშნავია:

1. **საქართველოს კანონის პროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ"** ეს კანონპროექტები წარმოდგენილ იქნა კომიტეტის თავმჯდომარის ირინე იმერლიშვილის საკანონმდებლო ინიციატივით. კანონპროექტის მიხედვით იერარქიის ერთსა და იმავე საფეხურზე მდგომ რამდენიმე საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანა აღარ იქნება შესაძლებელი ერთი საკანონმდებლო აქტით. ნორმატიულ აქტში სიტყვის (სიტყვების) ან რიცხვის (რიცხვების) შეცვლის, ამოღების ან დამატების შემთხვევაში ნორმატიული აქტის პროექტი უნდა შეიცავდეს შესაბამისი პუნქტის (ნაწილის), ქვეპუნქტის, დანართის (დანართის ნაწილის) სრულ რედაქციას სათანადო ცვლილების ან დამატების გათვალისწინებით.

კომიტეტის გადაწყვეტილებით კომიტეტის სხდომაზე საკითხის განხილვისას გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით კანონპროექტს

უნდა დაერთოს ასევე იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი ნორმატიული აქტით შედის ცვლილება. ,,ნორმატიული აქტების შესახებ" კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ საკანონმდებლო საქმიანობა უფრო ეფექტური და გამჭვირვალე გახადა.

ორივე პროექტი მიღებულია სამივე მოსმენით პარლამენტის მიერ.

2. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს საერთო სასამართლოების" საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", საქართველოს კანონის პროექტის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის „საქართველოს პარლამენტის რელამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ" .

ეს კანონთა პაკეტი წარმოდგენილ იქნა ასევე კომიტეტის თავმჯდომარის ირინე იმერლიშვილის საკანონმდებლო ინიციატივით. ამ კანონპროექტების მიხედვით საქართველოს პარლამენტს დაუბრუნდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრისთის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დარჩა სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობიდან გათავისუფლების უფლება. წარმოდგენილი ცვლილებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის უზენაესი საბჭოს მოსამართლეთა გათავისუფლების უფლების ისევ პარლამენტისათვის დაბრუნება განაპირობებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დაცულობის უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე ქონდა.

კანონპროექტთა პაკეტი მიღებულია სამივე მოსმენით პლენარულ სხდომაზე.

3. „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ" რეგლამენტის პროექტი. ეს პროექტი წარმოდგენილ იქნა კომიტეტის წევრის ბიძინა გუჯაბიძის ინიციატივით. კანონპროექტის მიზანს წარმოადგენდა ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით სხდომათა დარბაზში მყოფი პირებისათვის შესაძლებელი გამხდარიყო ეროვნული სამოსით ყოფნა.
პარლამენტის რეგლამენტის ამ პროექტზე იმსჯელა კომიტეტმა და ყველა მოსმენისათვის წარადგინა შესაბამისი დასკვნები. აღნიშნული ცვლილება პარლამენტის წევრს უფლებას აძლევს, სურვილის შემთხვევაში, პლენარულ სხდომას დაესწროს ეროვნული სამოსით. პარლამენტის რეგლამენტის პროექტი მიღებულია სამივე მოსმენით პლენარულ სხდომაზე.

4. „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ რეგლამენტის პროექტი.

პროექტი წარმოდგენილ იქნა კომიტეტის წევრის ზურაბ ტყემალაძის ინიციატივით. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის წინა რედაქციით პარლამენტის კომიტეტებთან იქმნებოდა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, რომელთაც დიდი სარგებლობა მოქონდათ ცალკეული კომიტეტებისათვის როგორც კანონშემოქმედებით, ასევე საკომიტეტო მოსმენების ორგანიზებასა და მიღებული გადაწყვეტილებების მეცნიერული დასაბუთებისა და პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით. წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებდა კომიტეტებთან სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების ფუნქციონირების აღდგენას, რომელთა თავმჯდომარეებს დანიშნავდა შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტზე გამოითქვა მოსაზრებები, რომ ეს ნორმა არ ყოფილიყო სავალდებულო და გაწევრიანება საბჭოებში გათვალისწინებული ყოფილიყო სტუდენტებისათვისაც. რეგლამენტში განხორციელებული აღნიშნული ცვლილება ცალკეულ კომიტეტებს შესაძლებლობას მისცემს კომიტეტის მუშაობაში ჩართოს არასაპარლამენტო სუბიექტები, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს პარლამენტის იმიჯზე. პარლამენტის რეგლამენტის ეს პროექტიც მიღებულია სამივე მოსმენით პლენარულ სხდომაზე.

5. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი. ეს კანონპროექტი წარმოდგენილი იყო კომიტეტის წევრის ზურაბ ტყემალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით. პროექტის თანახმად, სამსახურში მიღებისას პირმა უნდა წარადგინოს სამედიცინო–ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ნაცვლად სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არარსებობის შესახებ ინფორმაციისა, გარდა ამისა, თანამდებობაზე უკონკურსოდ შესაძლებელი ხდება დაინიშნოს პირი სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში.

კომიტეტმა კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას იმსჯელა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებზე, დაიხვეწა აღნიშნული კანონპროექტი, დიდი ნაწილი შენიშვნებისა გათვალისწინებულ იქნა როგორც კომიტეტის, ასევე ინიციატორის მიერ. კომიტეტმა შესაბამისი დასკვნები წარუდგინა პარლამენტის ბიუროს. კანონპროექტი მიღებულია პლენარულ სხდომაზე სამივე მოსმენით.

აღნიშნული კანონპროექტის მიღება პირს საშუალებას აძლევს ნარკოლოგიური სამსახურიდან შესაბამისი ცნობა საჯარო სამსახურში წარადგინოს შედარებით მოკლე დროში, ნაკლები მატერიალური რესურსების დახარჯვით. გარდა ამისა, მოხელის უკონკურსოდ დანიშვნა სამსახურეობრივი დაწინაურების შემთხვევაში მეტ სტიმულს მისცემს მას, უფრო მეტი დრო და ენერგია დახარჯოს სამუშაოს მაღალხარისხოვნად შესრულებაში.

გარდა კომიტეტისა და კომიტეტის წევრების საკანონმდებლო ინიციატივებისა, კომიტეტმა, როგორც წამყვანმა, იმუშავა ასევე რეგლამენტის შემდეგ პროექტებზე:

1. **„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის** პროექტი, რომელიც შემოტანილი იქნა საქართველოს პარლამენტის წევრების: ვახტანგ ხმალაძე, დავით ბერძენიშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი და ირაკლი ჩიქოვანის საკანონმდებლო ინიციატივით, ეს პროექტი შეეხება პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების ფრაქციათა მიერ გადანაწილებისა და გაცვლის შესაძლებლობის დაშვებას უმრავლესობასა და უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციებისათვის. აღსანიშნავია, რომ უმრავლესობის ან უმცირესობის ფრაქციათა შორის კვოტების გადანაწილების შეზღუდვის მოხსნა უფრო ეფექტურს გახდის საპარლამენტო საქმიანობას, რადგან ფრაქციათა ასეთი გაერთიანება ხორციელდება საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შესაბამისად კომიტეტებში მათი უფრო ეფექტური წარმომადგენლობა დაეხმარება ფრაქციებს საკუთარი მიზნების განხორციელებაში, რაც საბოლოო ჯამში საპარლამენტო საქმიანობაზეც დადებითად აისახება.

პარლამენტის რეგლამენტის ეს პროექტი მიღებულია სამივე მოსმენით.

2. **„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ რეგლამენტის პროექტი და მისგან გამომდინარე „საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი,** ეს ინიციატივა წარმოდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრის ზვიად ძიძიგურის საკანონმდებლო ინიციატივით. ამ პროექტის მიზანი იყო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ “ საქართველოს კანონის ნორმებთან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა. ცვლილებები შევიდა რეგლამენტის მე-19 მუხლში - თვითმმართველი ერთეული თავისუფლდება ვალდებულებისაგან დააფინანსოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრისა და მისი ბიუროს საქმიანობა. საქართველოს პარლამენტის მიერ ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის განკარგვის თაობაზე წერილობით დეტალურ ანგარიშს (ინფორმაციას) მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრმა ყოველი წლის ბოლოს უნდა წარმოუდგინოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს“

ეს პროექტი მიღებულია პლენარულ სხდომაზე სამივე მოსმენით. ცვლილება შევიდა აგრეთვე პარლამენტის დადგენილებაში, რის საფუძველზეც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა შეიმუშავა:

„მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროს ფუნქციების, ორგანიზებისა და საქმიანობის წესის და პარლამენტის ბიუჯეტიდან ბიუროსათვის გამოყოფილი თანხის განკარგვის წესის განსაზღვრის შესახებ“ დებულების პროექტი და გაუგზავნა პარლამენტის ბიუროს დასამტკიცებლად.

3. „ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს რეგლამენტის პროექტი“

პროექტი წარმოდგენილი იყო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ“ ამ პროექტის თანახმად ფრაქციებს, რომლებიც გაერთიანებული არიან უმრავლესობაში ან უმცირესობაში უფლება აქვთ პლენარულ სხდომებზე რეგლამენტით განსაზღვრული გამოსვლების დრო დაუთმონ უმრავლესობაში ან უმცირესობაში გაერთიანებულ სხვა ფრაქციებს. პარლამენტის რეგლამენტის ამ ცვლილების პროექტზე კომიტეტი მუშაობდა როგორც წამყვანი კომიტეტი.

კომიტეტის წევრების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს იმიტომ, რომ ამ უფლების არსებობის მიზანს წარმოადგენს ის, რომ საპარლამენტო განხილვაში მაქსიმალურად მონაწილეობდეს ყველა საპარლამენტო სუბიექტი და თითოეულს შეეძლოს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება. რადგან სწორედ კონკრეტული ფრაქციის შეხედულება და პოზიციაა მნიშვნელოვანი ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. კომიტეტმა მიუღებლად მიიჩნია წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად გატანა და უარყოფითი დასკვნა გაუგზავნა პარლამენტის ბიუროს.

პარლამენტის რეგლამენტის ეს პროექტი არ იქნა მიღებული პარლამენტის მიერ.

აღსანიშნავია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული შემდეგი ცვლილება:

- **„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“** პროექტი, რომელიც იყო საქართველოს პარლამენტის წევრის დავით ონოფრიშვილის საკანონმდებლო ინიციატივა. ცვლილება ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს საპენსიო ასაკში მყოფი პროფესიონალი პირების საჯარო სამსახურში მიღებას და მათი გამოცდილების გამოყენებას. კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია საჯარო სამსახურში ზღვრული ასაკის - 65 წლის გაუქმება, რაც გაზიარებულ იქნა ინიციატორის მიერ. აღნიშნული კანონპროექტით შესაძლებელი გახდება პროფესიონალური კადრების გამოცდილების გამოყენება საჯარო სამსახურში, რაც ხელს შეუწყობს საჯარო დაწესებულებას დასახული მიზნების მაღალკვალიფიციურად განხორციელებასა და ახალგაზრდა კადრების პროფესიონალიზმის

ამაღლებაში. კანონპროექტი მიღებულია პლენარულ სხდომაზე სამივე მოსმენით.

- **„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივითაა წარმოდგენილი. ამ პროექტის მიხედვით აღნიშნული კანონის მიზნებისათვის ტერმინ „თანამდებობის პირის“ ჩამონათვალს ემატება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები და მათი მოადგილეები, ასევე საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელები. ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების ნაცვლად თანამდებობის პირად განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები. ეს კანონპროექტი განხილულია კომიტეტის სხდომაზე ორი მოსმენით და წარდგენილია შესაბამისი დასკვნა, მიღებულია პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით.

კომიტეტმა სავალდებულო დასკვნა წარადგინა რამდენიმე კანონპროექტზე, რომელთაგან აღსანიშნავია:

კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც შეეხებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის რეფორმირების საკითხებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის სტატუსს, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირების საკითხებს. პაკეტი წარმოდგენილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრის ელისო ჩაფიძის საკანონმდებლო ინიციატივით.

კომიტეტმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში განიხილა აღნიშნული კანონპროექტები. კომიტეტის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნები და მოსაზრებები და კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ კანონპროექტში არსებული მთელი რიგი პროცედურული ხარვეზების გასწორების, აგრეთვე სხვადასხვა მოსაზრებების საბოლოო ჩამოყალიბების მიზნით, წამყვანი კომიტეტის მიერ საკანონმდებლო პაკეტის განხილვამდე ჩატარებულიყო სამი კომიტეტის გაერთიანებული სხდობა. ზემოაღნიშნული სხდომა ჩატარდა მიმდინარე წლის 4 აპრილს.

გაერთიანებულ სხდომაზე სხდომაზე კანონპროექტის „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ განხილვა მწვავე კამათის ფონზე მიმდინარეობდა. საპარლამენტო უმცირესობა არ ეთანხმებოდა კანონპროექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო

საბჭოს დაკომპლექტების წესს და საბჭოში წერთა რაოდენობის შემცირებას. მათთვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო მოქმედი სამეურვეო საბჭოს მთლიანი შემადგენლობის დათხოვნის საკითხი. სხდომაზე გაირკვა, რომ აჭარის ტელევიზიის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით პარლამენტში კიდევ ერთი კანონპროექტი იყო შემოსული, რომლის ინიციატორიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოა. გამართული განხილვის შემდეგ მოხდა შეთანხმება, რომ პროექტებს შეაჯერებდნენ და მოახდენდნენ პარლამენტში ახალი კანონპროექტის ინიცირებას.

მართლაც, შეთანხმებისამებრ, წარმოდგენილ იქნა კანონპროექტთა პაკეტის ახალ ვარიანტი პარლამენტის წევრების ელისო ჩაფიძისა და მურმან დუმბაძის საკანონმდებლო ინიციატივით:

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

„საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

პროექტებით ახლებურად რეგულირდება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირების წესი, წესდება მაუწყებლობის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ქონებრივი დეკლარაციების შევსების, საერთო მაუწყებლებისათვის საერთაშორისოდ აღიარებული აუდიტის ჩატარებისა და აუდიტორული დასკვნების გამოქვეყნების ვალდებულება. განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსი. ამასთანავე, რეგულირდება საქართველოს პარლამენტის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევისა და მათთვის უნდობლობის გამოცხადების წესი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის მიერ საარჩევნო პერიოდში საეთერო დროის გამოყოფის, წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამის ეთერში განთავსების პირობები. პროექტები განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებას წარადგინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ორი წევრი. კომიტეტმა აღნიშნული კანონპროექტები განიხილა კომიტეტის სხდომაზე. ინიციატორის მიერ გაზიარებულ იქნა კომიტეტის შენიშვნები. კომიტეტის სავალდებულო დასკვნა გაეგზავნა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს.

2. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„საგადახადო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ამ კანონპროექტთა პაკეტით იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის საზედამხედველო ორგანო და განისაზღვრება მისი ფუნქციები, უფლებამოსილებები, სტრუქტურა და საქმიანობის ორგანიზება და სხვა საკითხები. ეს პაკეტი წარმოდგენილი იყო პარლამენტის წევრის დავით ონოფრიშვილის საკანონმდებლო ინიციატივით. ამ პაკეტით გათვალისწინებულია ,,საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ რეგლამენტის პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ,,ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. რეგლამენტს ემატება 219^1 და 219^2 მუხლები, სადაც განისაზღვრება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრებისა და ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის საზედამხედველო საბჭოს წევრების არჩევის წესი. კომიტეტმა განიხილა აღნიშნული პაკეტი, გამოითქვა

მოსაზრება, რომ ვინაიდან აუდიტის საზედამხედველო სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე, წარუდგენს მას ანგარიშს, თუმცა რეგლამენტის წარმოდგენილ პროექტში ასახული არ იყო სააგენტოს მიერ პარლამენტისატვის ანგარიშის წარდგენის წესი და ანგარიშის განხილვის პროცედურა. ამ შენიშვნების გათვალისწინებით წამყვან კომიტეტს გაეგზავნა სავალდებულო დასკვნა.

2. „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ" რეგლამენტის პროექტი.

ეს პროექტი წარმოდგენილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრის ვახტანგ ხმალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით . ამ პროექტით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი შესაბამისობაში უნდა მოსულიყო „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებასა და ამავე კანონით დადგენილი დებულებასთან, ცვლილება შედის პარლამენტის რეგლამენტის 219-ე მუხლში. კერძოდ, განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის, მათი განხილვისა და პარლამენტის პლენარული სხდომისთვის წარდგენის წესი და ვადა. რეგლამენტის პროექტი განხილულ იქნა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ინიციატორს წარუდგინა არგუმენტირებული შენიშვნები, იუსტიციის საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევის, პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის ამოქმედების ვადის და სხვა საკითხებზე. კომიტეტის შენიშვნები კანონპროექტის მე-2 მუხლის ამოღებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ცვლილებების ამოქმედების ვადის შეცვლას და კანდიდატისათვის წარდგენილი სავალდებულო მოთხოვნების ნუსხის კორექტირება გათვალისწინებულ იქნა ინიციატორის მიერ. კომიტეტის სავალდებულო დასკვნა გაეგზავნა იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

1. „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

„სადაზვერვო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

„ნდობის ჯგუფის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

კანონპროექტები შეეხება ზოგიერთი სტრუქტურის საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებაში გადასვლას და საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას შორის უფლებამოსილების გამიჯვნას. ასევე რეგულირდება ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადის გაგრძელებასთან, სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მოხსნასთან, კლასიფიცირებული ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული მთავრობის უფლებამოსილების საკითხი და სხვა.

ეს პაკეტი წარმოდგენს კომიტეტის თავმჯდომარის ირინე იმერლიშვილის საკანონმდებლო ინიციატივას. კომიტეტმა განიხილა და სათანადო სავალდებულო დასკვნა გაუგზავნა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს.

II. კომიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე საქმიანობა.

1. კომიტეტის სამანდატო საქმიანობა

✓ კომიტეტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის 13 წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხები მათ მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის გამო და მოამზადა საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისი 13 პროექტი.

✓ კომიტეტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრების ადგილმონაცვლეების უფლებამოსილების ცნობის შესახებ საარჩევნო კომისიიდან წარმოდგენილი მასალები და თანდართული დოკუმენტაცია, განცხადებები, ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" მიერ გაცემული ცნობები, რის საფუძველზეც მოამზადა პარლამენტის შესაბამისი დადგენილების 10 პროექტი.

✓ კომიტეტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 აპრილის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული:

- N9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქში ჩატარებული შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული თამარ კორძაიას;

- N52 ბაღდათის საარჩევნო ოლქში არჩეული პაატა კიკნაველიძის;

- N54 სამტრედიის საარჩევნო ოლქში არჩეული გიორგი კახიანის

  პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხები.

საარჩევნო კომისიიდან წარმოდგენილი მასალების და თანდართული დოკუმენტაცის, განცხადებების, ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე მოამზადდა საქართველოს პარლამენტის დადგენილების 3 პროექტი, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

2. ფრაქციათა ზღვრული წარმომადგენლობის კვოტების დაცვის მდგომარეობის შესწავლა

კომიტეტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში სწავლობდა კომიტეტებში, დროებით საგამოძიებო, აგრეთვე სხვა დროებით კომისიებსა და საერთაშორისო დელეგაციებში ფრაქციათა ზღვრული წარმომადგენლობის კვოტების დაცვის მდგომარეობას. ფრაქციებს ეგზავნებოდათ წერილები სხვადასხვა კომიტეტებიდან წევრების გამოყვანისა, ან დასანიშნი წევრების თაობაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტში შემუშავებულ და მომზადებულ იქნა კომიტეტის დასკვნები და პარლამენტის დადგენილებისა და პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების პროექტები, რომლებიც გაეგზავნა პარლამენტის ბიუროს:

- ✓ პარლამენტის კომიტეტებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე - 6 დასკვნა (21.10.13; 6.11.13; 3.12.13, 5.12.13, 19.03.13,26.06.13)

- ✓ საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედ საპარლამენტო დელეგაციებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე;

- ✓ საქართველოს პარლამენტის ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენის დროებით კომისიაში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე;

- ✓ სახელმწიფო აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიაში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე;

✓ საქართველოს პარლამენტის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე;

იმის გამო, რომ მიმდინარე წლის მაისში ჩამოყალიბდა ახალი ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები" საჭირო გახდა კომიტეტებში, დროებით და დროებით საგამოძიებო კომისიებსა და მუდმივმოქმედ დელეგაციებში კვოტების ხელახალი გადანაწილება, რისთვისაც მომზადდა პარლამენტის დადგენილების პროექტი საქარტველოს პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ რითაც 15 წევრიანი კომიტეტების შემადგენლობა გახდა 17 წევრიანი, ხოლო 13 წევრიანი კომიტეტები-15 წევრიანი.

ფრაქციის რეგისტრაციის საკითხის შესწავლა

კომიტეტმა შეისწავლა:

✓ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" რეგისტრაციის თაობაზე;
✓ ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარების" რეგისტრაციის თაობაზე;
✓ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმის" რეგისტრაციის თაობაზე ;
✓ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების" რეგისტრაციის თაობაზე;

შემოსული განცხადებები და თანდართული მასალები და პარლამენტის ბიუროს წარუდგინა დასკვნა ზემოაღნიშნული ფრაქციების რეგისტრაციის მიზანშეწონილობის შესახებ.

3. პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო წესით წარდგენის თაობაზე შეგროვილი ხელმოწერების ნამდვილობის გადამოწმება.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა პარლამენტის რეგლამენტის 174-ე მუხლის შესაბამისად გადაამოწმა:

✓ საქართველოს პარლამენტის 80 წევრის მიერ ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო წესით წარდგენის თაობაზე შეგროვილი ხელმოწერების ნამდვილობა;

✓ საქართველოს პარლამენტის 78 წევრის მიერ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის თაობაზე შეგროვებული ხელმოწერების ნამდვილობა;

✓ საქართველოს პარლამენტის 80 წევრის მიერ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის თაობაზე შეგროვებული ხელმოწერების ნამდვილობა;

✓ საქართველოს პარლამენტის 82 წევრის მიერ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის თაობაზე შეგროვებული ხელმოწერების ნამდვილობა;

✓ საქართველოს პარლამენტის 79 წევრის მიერ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის თაობაზე შეგროვებული ხელმოწერების ნამდვილობა.

ხუთივე შემთხვევაში გადამოწმდა თითოეული პარლამენტის წევრის ხელმოწერის ნამდვილობა და იმის გამო, რომ გადამოწმების შედეგები საშუალებას იძლეოდა საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით და საქართველოს რეგლამენტის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებულ საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების უფლებას, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მოამზადა შესაბამისი დასკვნები, რომლებიც გაეგზავნა პარლამენტის ბიუროს.

4. არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი განცხადებების შესწავლა:

კომიტეტმა შეისწავლა განცხადება:

არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (გიორგი თარგამაძე, მაგდალინა ანიკაშვილი, გიორგი ახვლედიანი, ლევან ვეფხვაძე, ნიკოლოზ ლალიაშვილი,

გრიგოლ ფარესაშვილი, გოჩა ჯოჯუა, ლაშა აივაზაშვილი, თენგიზ ჯანგულაშვილი, ვახტანგ გაბუნია) რეგისტრაციის თაობაზე.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული საინიციატივო ჯგუფის განცხადება და თანდართული მასალები წარმოდგენილ იქნა საქართველოს პარლამნტის რეგლამენტის 175-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

კომიტეტმა საინიციატივო ჯგუფი გაატარა რეგისტრაციაში, გადასცა სარეგისტრაციო მოწმობა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ აღნიშნული კანონპროექტების მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად დადგენილი ფორმის(ფურცლის) ნიმუში.

5. არანაკლებ 30 000 ამომრჩევლის ინიციატივით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი განცხადებების შესწავლა:

კომიტეტმა შეისწავლა განცხადებები არანაკლებ 30 000 ამომრჩევლის ინიციატივით:

1. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის თაობაზე ;

2. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (კახა კუკავას, ალექსანდრე შალამბერიძის, თენგიზ ომანიძის, გიორგი წულაიას და ზვიად წაქაძის შემადგენლობით) რეგისტრაციის თაობაზე;

3. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (კახა კუკავას, ალექსანდრე შალამბერიძის, თენგიზ ომანიძის, გიორგი წულაიას და ზვიად წაქაძის შემადგენლობით) რეგისტრაციის თაობაზე;

4. „სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის წარდგენის უფლების

განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (კახა კუკავას, ალექსანდრე შალამბერიძის, თენგიზ ომანიძის, გიორგი წულაიას და ზვიად წაქაძის შემადგენლობით) რეგისტრაციის თაობაზე;

5. "საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (გიორგი თარგამაძე, მაგდა ანიკაშვილი, გიორგი ახვლედიანი, ლევან ვეფხვაძე, ნიკოლოზ ლალიაშვილი) რეგისტრაციის თაობაზე.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ პარლამენტის ბიუროს მიერ მოწოდებული საინიციატივო ჯგუფის განცხადებები წარმოდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 177-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. კომიტეტმა საინიციატივო ჯგუფები გაატარა რეგისტრაციაში, გადასცა სარეგისტრაციო მოწმობა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ აღნიშნული კანონპროექტების მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად დადგენილი ფორმის(ფურცლის) ნიმუში.

6. სხვადასხვა საკითხებზე მუშაობა

კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში:

✓ შეისწავლა 144 პარლამენტის წევრის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ განცხადება და საჭირო დოკუმენტაცია. დაადგინა რომ მათ არ გააჩნიათ ქალაქ ქუთაისში საცხოვრებელი ფართობი და პარლამენტის ბიუროს გაეგზავნა კომიტეტის შესაბამისი დასკვნები.

✓ საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად შეისწავლა საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მაჟორიტარული წესით არჩეულ პარლამენტის წევრისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ 2012 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მაჟორიტარი დეპუტატების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გამოყოფილი ხარჯების თაობაზე, რისთვისაც 70 დეპუტატს გაეგზავნათ წერილები და შესწავლილ იქნა 65 მაჟორიტარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

✓ საანგარიშო პერიოდში სწავლობდა პარლამენტის წევრების ქონებრივ დეკლარაციებს და პარლამენტის წევრების თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხებს, რისთვისაც იხილავდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან

და ცალკეული პარლამენტის წევრებიდან წარმოდგენილ სათანადო ინფორმაციებს.

✓ 2012 წლის საშემოდგომო სესიისა და 2013 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლოს განიხილა პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენების შესახებ მანდატურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და უზრუნველყო ამ ინფორმაციების განთავსება პარლამენტის ვებ გვერდზე.

✓ პარლამენტის ინტერნეტის ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსების მიზნით ყოველთვიურად იხილავდა პარლამენტის მანდატურის სამსახურისა და პარლამენტის კომიტეტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს პარლამენტის წევრთა მიერ კომიტეტების სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შესახებ.

✓ იხილავდა მოქალაქეთა განცხადებებსა და ოფიციალური სტრუქტურებიდან შემოსულ კორესპოდენციებს, საჭიროების შემთხვევაში აგზავნიდა მათ შესაბამის სტრუტურებში შემდგომი რეაგირებისათვის.

✓ მოამზადა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი ,,პოლიტიკური დებატების დანიშვნის შესახებ"

✓ განიხილა და სათანადო ინფორმაცია წარუდგინა პარლამენტის ბიუროს საქართველოს პარლამენტის წევრის გიორგი ხაჩიძის ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის თაობაზე.

✓ განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ჩიორა თაქთაქიშვილის წერილი საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე მასსა და პარლამენტის წევრ ზაზა პაპუაშვილს შორის მომხდარ შელაპარაკებაზე რეაგირების შესახებ, მოამზადა სათანადო პასუხი, რომელიც გაეგზავნა როგორც წერილის ავტორს, ასევე პარლამენტის ბიუროს.

✓ განიხილა მოქალაქე დავით კიკვიძის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ". წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების მიზანი იყო კონკურსის ჩატარების წესიდან გასაუბრების, როგორც კონკურსანტის შეფასების არაობიექტური და უსამართლო ფორმის ამოღება და მხოლოდ წერითი გამოცდის დამკვიდრება.

კომიტეტმა მხოლოდ „წერითი ფორმის“ დატოვება კონკურსის ჩატარების ფორმად - მიუღებლად მიაჩნია, რადგან გასაუბრება აუცილებელი კომპონენტია იმისათვის, რომ სტრუქტურის ხელმძღვანელმა შეიქმნას წარმოდგენა ზოგადად კონკურსანტის აზროვნების უნარისა და შესაძლებლობების შესახებ. მოქალაქე დავით კიკვაძის მიერ წარმოდგენილი საკანონდებლო წინადადება - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ უარყოფილად ცნობის თაობაზე კომიტეტის დასკვნა გაეგზავნა პარლამენტის ბიუროს.

✓ განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ადვოკატების საკანონმდებლო ინიციატივებისათვის“ მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექში ცვლილებების შეტანის შესახებ“„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და თითოეულ საკანონმდებლო წინადადებაზე არგუმენტირებული შენიშვნებით კომიტეტის დასკვნა გაუგზავნა იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

✓ შეისწავლა მიმდინარე მოწვევაში საქართველოს პარლამენტის წევრების წერილობითი კითხვასთან დაკავშირებული საკითხები.

შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ქონდა ცალკეული თანამდებობის პირებისაგან წერილობითი პასუხის დაგვიანებას, ხოლო ზოგ შემთხვევაში წერილს ხელს აწერდა არაუფლებამოსილი პირი. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 311-ე მუხლის თანახმად „პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას და მათგან მიიღოს პასუხი. პასუხს ხელს აწერენ მხოლოდ ამ მუხლში ჩამოთვლილი სუბიექტები ან შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი“.

როდესაც ეს ფაქტი ცნობილი გახდა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტისათვის, კომიტეტმა, ინფორმირებულობის მიზნით წერილობით მიმართა ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს,

რომლებსაც განემარტათ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისი მუხლების შესრულების აუცილებლობის შესახებ, რის შედეგადაც, წერილობითი შეკითხვების უმრავლესობაზე დაუყოვნებლივ იქნა პასუხი გაცემული. კომიტეტმა აღნიშნული საკითხი განიხილა კომიტეტის სხდომაზე. საკითხის შესწავლის შედეგების შესახებ აცნობა პარლამენტის ბიუროს. სწორედ ამ საკითხის შესწავლა დაედო საფუძვლად კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივას ,,საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ".

7. პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა კონტროლი საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით, პარლამენტის დადგენილებებითა და ბიუროს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულებაზე.

საანგარიშო პერიოდში კონტროლი ხორციელდებოდა როგორც საანგარიშო, ასევე წინა მოწვევაში მიღებული კანონების გარდამავალი დებულებებითა და პარლამენტის დადგენილებებით განსაზღვრულ დავალებებზე, რომელთაც მიმდინარე მოწვევაში გაუვიდათ შესრულების ვადა. კეთდებოდა ზეპირი და წერილობითი შეხსენებები, კომიტეტებს ეგზავნებოდათ შესასრულებელ დავალებათა ნუსხები. ხდებოდა მიღებული ინფორმაციების ანალიზი და აღრიცხვა, რის საფუძველზეც პარლამენტის ხელმძღვანელობისთვის წარსადგენად მომზადებულ იქნა ინფორმაციები:

საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებითა და პარლამენტის დადგენილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ 2012 წლის 5 დეკემბრის, 2013 წლის 15 თებერვლისა და 2013 წლის 1 ივნისის მდგომარეობით.

2012 წლის 1 ოქტომბრიდან- 2013 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში ვადაგასული დავალებებიდან დღეისათვის ჯერ არ შესრულებულა 23 კანონის გარდამავალი დებულებით განსაზღვრული 32 დავალება, აღსანიშნავია, რომ შეუსრულებელი დავალებებიდან 12 -ის შესრულების ვადა გავიდა 2013 წლის 1 იანვრამდე.

წინა პერიოდებისაგან განსხვავებით გამოიკვეთა დადებითი ტენდენცია: მაგალითად მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან - 1 აგვისტომდე პერიოდში სულ შესრულებულდა 25 დავალება. 14 დავალება შესრულდა ვადაში, ვადის დარღვევით კი - 8 დავალება, თუმცა 6 მათგანის შემთხვევაში ვადა მხოლოდ 1 კვირით იყო გადაცილებული, შესაბამისი კანონების ამოქმედებიდან 1 თვის

ვადაში შესრულებული იქნა 3 დავალება, რომელთაც შესრულების ვადა არ ქონდათ მითითებული.

რაც შეეხება პარლამენტის 5 დადგენილების 11 დავალებიდან ყველა შესრულებულია.

გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად კომიტეტის ვებ გვერდზე ყოველი თვის დასაწყისში თავსდებოდა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ამსახველი განახლებული ინფორმაციები, რითაც პარლამენტის კომიტეტებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შესაძლებლობა ქონდათ მიეღოთ ინფორმაცია კანონების გარდამავალი დებულებებითა და პარლამენტის დადგენილებებით განსაზღვრული შესასრულებელი და შესრულებული დავალებების შესახებ.

გარდა ამისა ზოგიერთი კანონის გარდამავალი დებულებებითა და პარლამენტის დადგენილებებით განსაზღვრული დავალებები, რომელთა შესრულების ვადა გავიდა 2008 წლის 1 ივნისიდან-2012 წლის 1 ოქტომბრამდე, ჯერაც არ არის შესრულებული. ამის გამო საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ პარლამენტის კომიტეტებს განმეორებით გაეგზავნათ მათ სფეროს მიკუთვნებული კანონებით და პარლამენტის დადგენილებებით განსაზღვრული დავალებების ნუსხები.

კომიტეტში მომზადდა ინფორმაცია 2008 წლის 1 ივნისიდან-2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში შესრულების ვადაგასული, შეუსრულებელი დავალებების შესახებ 2012 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით.

ცალკეული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ კომიტეტებიდან და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციების დამუშავების საფუძველზე აღსანიშნავია, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში, პარლამენტში წარმოდგენილ იქნა კანონპროექტები და მოხდა ცალკეული დავალებების შესრულების ახალი ვადისა და შემსრულებლების განსაზღვრა, ხოლო ზოგიერთი დავალება კი ამოღებულ იქნა. ამჟამად გრძელდება კონტროლი წინა მოწვევის 30 კანონით განსაზღვრულ 62 დავალებაზე, მათ შორის ერთი კანონით 25 დავალებაა განსაზღვრული და ასევე პარლამენტის 4 დადგენილებაზე. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა განახლებული ინფგორმაციის წარმოსადგენად.

გარდა ამისა, მომზადდა ინფორმაცია და გაეგზავნა პარლამენტის ხელმძღვანელობას საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე 2012 წლის 10 დეკემბრისა და 2013 წლის 20 ივნისის მდგომარეობით.

ამრიგად, წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია ყველა ის ძირითადი სამუშაო, რაც კომიტეტმა შეასრულა საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და კომიტეტის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად კანონშემოქმედებით, საკონტროლო და კომიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებით.